ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№33
(გაერთიანებული სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან)

ქ. თბილისი; 20 ნოემბერი 2018 წ. 10:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
ნინო ლაცაბიძე
ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ძთლიანი ბოცულობა განისაზღვრა - 871 631, 5 ათასი ლარით, რაც 2018 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 861 609,0 ათას ლარს, გაზრდილია 10 022,5 ათასი ლარით.

ამასთან, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ,,ქალაქისათვის განსაზღვრულ იქნა შემდეგი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა (105 858,5 ათასი ლარი);
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება (173 797,7 ათასი ლარი), პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ზრდა არის გათვალისწინებული საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისთვის.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება (განისაზღვრება 92 996,0 ათასი ლარით), რაც 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 1 789,8 ათასი ლარით;
- ასევე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში გრძელდება პროგრამები ბიზნესის სტიმულირება, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია და სხვ.
- პრიორიტეტებადაა განსაზღვრული აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, რომელიც წინა წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია და განისაზღვრა 20 648,1 ათასი ლარით;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (დაფინანსებული 191 030, 7 ათასი ლარით);
- ასევე განათლება, რომელიც წინა წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია და განსაზღვრულია 159 063, 2 ათასი ლარით;
- პროექტის მიხედვით პრიორიტეტადაა განსაზღვრული კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა, (21 593,4 ათასი ლარით), ასევე საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (3 608,8 ათასი ლარი);
- რაც შეეხება ქ. თბილისის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს, პრიორიტეტი განსაზღვრულია 97 138,1 ათასი ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, დასძინა, რომ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა **4 000,0** ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი **(EBRD)) 13 649,9** ათასი ლარი, ხოლო, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განსაზღვრულია **2 000,0** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ნინო ლაცაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, განათლების პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას, რომელიც განსაზღვრულია 137 797,5 ათასი ლარის ოდენობით. ასევე მიუთითა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით ფიზაწსდება 180 სბაავშვო ბაღი, 2014 წლიდან დღემდე დასრულდა 20 ახალი ბაღის მშენებლობა, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 10 ახალი ბაღის მშენებლობის დასრულება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კითხვა დასვა მომხსენებლის მისამართით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტისათვის, დაახლოებით, რა ოდენობის ფინანსური რესურსი იქნება გამოყოფილი სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან.

კომისიის თავმჯდომარის შეკითხვასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მიუთითა, რომ აღნიშნული ფინანსური სახსრების ოდენობის შესახებ მისთვის დაზუსტებული ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახალ საბიუჯეტო წელს განსახორციელებელი სპორტული ღონისძიებების დაფინანსებლად გათვალისწინებული სახსრები განსხვავებულია მიმდინარე საბიუჯეტო წლის ფინანსური რესურსების მაჩვენებელთან, აგრეთვე დაამატა, რომ მიზანშეწონილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამის უწყებებს შორის მეტად გაღრმავდეს კომუნიკაცია.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა ისაუბრა წარმოდგენილი, 2019 წლის დედაქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, გამოეხმაურა, დედაქალაქში, სკვერის სახელდების აბრების განთავსებისათვის გასათვალისწინებელი ფინანსური რესურსების არსებობის აუცილებლობას.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ იკითხა იმ ეკონომიების შემდგომი განკარგვის შესახებ, რომელიც მიიღება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ტენდერების შედეგად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რესურსების შემდგომში განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ყურადღება გაამახვილა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის თანახმად გათვალისწინებულ, მუნიციპალიტეტის ახალი საბიუჯეტო დოკუმენტის მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე და **განმარტა, რომ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შესახებ მომზადებულ დასკვნა **არაუგვიანეს 20 ნოემბრისა** წარუდგენს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომელიც ასევე იმოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად და მიღებულ წერილობით პოზიციებს თავის დასკვნასთან/წინადადებებთან (შენიშვნებთან) ერთად გაუგზავნის ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს **არაუგვიანეს 22 ნოემბრისა.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განხილვის საკითხს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი